მშენებლობის ორგანიზების პროექტი

სტადია II-III (პირველი შეთანხმება)

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

გრგ შესაბამისი განვითარება, კერძო დაკვეთის ფარგლებში

მესაკუთრე: შალომ პორელი

01.81.02.363.096

ს. წავკისის თბილისი-კოჯრის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია
ნიკოლოზ მათიკაშვილის ქ. N33, მთაწმინდის რაიონი, თბილისი, საქართველო.

დამკვეთი:

შალომ პორელი
0-1422592-4 (ისრაელი)

Free STUDIO®
შპს თავისუფალი სახელოსნო
405665061

თბილისი, 2026

განმარტებითი ბარათი

სამშენებლო ობიექტი:

ა) სივრცით-ფუნქციური გადაწყვეტა:

სამშენებლო ობიექტი შედგება ცალკე მდგომი ერთი შენობისგან, რომელიც გამოყენების სახეობის მიხედვით არის — ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. შენობა 2-სართულიანია (2 სრული სართული და სახურავი). გეგმაში თითქმის კვადრატია, ოთხივე ფასადი ფენესტრირებულია. ვერტიკალურ კომუნიკაციას წარმოადგენს შიდა, ერთ-მარშიანი კიბე.

გარე მოპირკეთებაში გამოყენებულია HPL საფასადე კომპოზიტური პანელები (დათბუნებით). სახურავს მიუყვება პარაპეტი, კედლის მასალშივე გადაწყვეტილი. ფენესტრაცია — ალუმინის იზო-პროფილირებული ვიტრაჟები, მინაპაკეტით. ფერები მითითებულია არქიტექტურულ პროექტში ნახაზებზე.

ბ) სტრუქტურული გადაწყვეტა:

შენობის ძირითადი მზიდ სტრუქტურული ჩარჩოს ქმნის ადგილზე სხმული რკ. ბეტონის სვეტ-კოჭოვანი სისტემა (კარკასი). საძირკვლად გამოყენებულია ადგილზე სხმული რკ. ბეტონის ფილა. სართულშუა გადახურვა ასევე ადგილზე სხმული რკ. ბეტონის ფილა. კედლის შემავსებელი: შემომზღუდავი — 300 მმ ბლოკი, ტიხრები — 200 მმ ქვიშა-ცემენტის ბლოკი ან 100 მმ თაბაშირ-მუყაო საკუთარ ლითონის თხელ საყრდენებზე. სახურავი: მონოლითური რკ. ბეტონისაა. **მშენებლობის კლასი — II კლასი.** დეტალურად იხ. კონსტრუქციული პროექტი.

სამშენებლო მოედანი:

ა) მიწის ნაკვეთი:

მიწის ნაკვეთი N01.81.02.363.096 მდებარეობს ს. წავკისის ტერიტორიაზე (ნიკოლოზ მათიკაშვილის ქ. N33, მთაწმინდის რაიონი, თბილისი, საქართველო), თბილისი-კოჯრის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია ნაკვეთს აუცილებელი საავტომობილო მისასვლელი გააჩნია ორივე ქუჩიდან – დეტალურად იხ. სიტუაციური რუკა და მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა. მიწის ნაკვეთის რელიეფის ექსპოზიცია სამხრ.-დასავლეთია. არ არის დანაოჭებული და მცირედ ქანობიანია. ზღვის დონიდან მერყეობს 1065.3 – 1068.3 მ ფარგლებში. უკიდურეს ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგნს: 3 მეტრს.

ბ) ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოები:

სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით *სნდწ 3.01.01-85** §1 და §2 დებულებების მიხედვით. ასევე, გასათვალისწინებულ იქნას *„ნებართვის გაცემის წესი“* N255, ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ და „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესი“-ს თავი 20-ის მოთხოვნები.

მოსამზადებელი სამუშაოებში შედის როგორც ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური საკითხების გადაწყვეტა, ისე სამშენებლო ბრიგადისა და პერსონალის შემზადება/ინსტრუქტაჟი. მოსამზადებელ პერიოდში მშენებლობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ადგილზე იქონიოს, წინამდებარე მოპ-ის საფუძველზე შედგენილი „სამუშაოთა წარმოების პროექტი“ (სნდწ 3.01.01-85* დანართი 4).

მოსამზადებელ პერიოდის სამუშოები:

- დროებითი სამშენებლო ღობის დაყენება და/ან არსებულის გამოყენება (*თუ ის ემთხვევა სამშენებლო მოედნის საზღვრებს*);
- დროებითი „შენოებების“ განლაგება, უსაფრთხო ადგილზე;
- დროებითი უზრუნველყოფა წყლით და ენერგიით, საჯარო ქსელებიდან;
- სასაწყობო მოედნის გამოყოფა და სამშენებლო მასალების/ნაკეთობების შემოტანა მოედანზე;
- ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი.

გრუნტის დამუშავება მოხდეს ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას გატანილი. გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ. №4-ის თანახმად. ბეტონის ჩასხმა ქარგილებში განხორციელდეს სტაციონალური ბეტონის ტუმბოს საშუალებით. ბეტონის ტუმბოს დაიდგას სამშენებლო მოედანზე (ეზოში), სპეციალურად გასწორებულ მიწის ზედაპირზე. სამშენებლო მასალების მიწოდება ადგილზე შეიძლება განხორციელდეს ხელით. საჭიროებისებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამშენებლო საწეველა (შეირჩეს სამშენებლო ორგანიზაციის მიერ).

სტაციონალური ბეტონის ტუმბო Putzmeister P-715-SE-ის ტექნიკური დახასიათება:

1. დანადგარის ზომები: 2.95 x 1.40 x 1.40 მ
2. მექანიზმის წონა: 1650.00 კგ
3. წვდომა:
   – ვერიკალურად: 100.00 მ
   – ჰორიზონტალურად: 300.00 მ

შენიშვნა:

1. დეტალურად იხ. https://pmnordic.se/images/produkter/Mur-Putsmaskiner/P-715-TE-SE/P%20715%20Brochure%20EN.pdf ;

2. მექანიზმის მარკა/მოდელი შეიძლება შეიცვალოს მსგავსი ან უკეთესი პარამეტრების მქონე მარკაზე/მოდელზე, სამშენებლო ორგანიზაციის სურვილისაებრ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის

არქიტექტურული პროექტი

სტადია II-III (პირველი შეთანხმება)

გრგ შესაბამისი განვითარება, კერძო დაკვეთის ფარგლებში



შემსრულებელი

FREE STUDIO
PLANNING | DESIGN | MORE

მპს თავისუფალი სახელოსნო
405665061
დირექტორი: ვ. ჯოხაძე
freestudio.co@gmail.com

ინიციატორი / დამკვეთი

შალომ პორელი

0-1422592-4 (ისრაელი)

#Client E-mail
თბილისი-კოჯრის გზატკეცილი N92, ს. ტაბახმელა, თბილისი, 0114 საქართველო

შენიშვნები:

ნაწილი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

პროექტი

განმარტებითი ბარათი

დოკუმენტი

ტექსტური განმარტებები

უხელმძღვანელა:
ვახტანგ ჯოხაძე

დაამუშავა:
მარიამ აბამიძე

შეამოწმა:
ვახტანგ ჯოხაძე

თბილისი, 2026
მიმღინარე ვერსია მომზადდა: 3.11.2026

პლანშეტი **#მ.01.2**
გვერდი #33

A2



Putzmeister P-715-SE

გ) ხანგრძლივობა:

თანახმად *სნდწ 3.01.01-85*, თავი 3. არასამრეწველო მშენებლობა, 1. საცხოვრებელი შენობები.*

პუნქტი 3-ის მიხედვით, ერთი- და ოთხსართულიანი შენობების მშენებლობის ვადა განისაზღვრება სოფლის დასახლებებისთვის. სამშენებლო ობიექტის ანალოგი მოცემულია იქვე ცხრილში (გვ. 480, §3: მონოლითური - საერთო ფართობით 500 კვ. მ-მდე, მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმა (T) = 6 თვე. ზოგადი დებულებების პუნქტი 11-ის (გვ. 2) მიხედვით T=6.0+3.0=9.0 თვე, ხოლო პუნქტი 17-ის მიხედვით, T=9.0 X 1.15=10.35 თვე, სადაც 2.0 თვე - მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. დამკვეთის სურვილით T=12.0 თვე. მშენებლობი რიგითობა და ეტაპები იხ. კალენდარულ გეგმა-გრაფიკში.

დ) ტექნიკური და უსაფრთხოების ზედამხედველობა:

თანახმად კოდექსისა, II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია **სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების განხორციელება** და/ან **მშენებლობის უსაფრთხოების კონტროლი** დაუკვეთოს **აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოს** ან/და **სერტიფიცირებულ ექსპერტს,** შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. თუ I-II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროცესში მშენებლობის ნებართვის მფლობელი არ ნიშნავს მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველს, ის თვითონ არის პასუხისმგებელი მშენებლობის პროცესში სამშენებლო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე. აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, სერტიფიცირებული ექსპერტი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს.

მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული სამუშაოს სისწორეზე და მის მიერ ასახული ინფორმაციის ნამდვილობაზე. მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ვალდებულია აწარმოოს მშენებლობის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტაციის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, სერტიფიცირებული ექსპერტი ვალდებულია: ა) სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების განხორციელების უფლებამოსილების მისაღებად ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა; ბ) მშენებლობის ცალკეული ეტაპების დამთავრების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია წარუდგინოს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოს; გ) სრულად აგოს პასუხი მისი ბრალეულობით მშენებლობის ნებართვის მფლობელისთვის მიყენებული ზიანისათვის; დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აგოს პასუხიმის მიერ შედგენილი დოკუმენტაციის სისწორისთვის.

მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ყველა იმ ტექნიკური საშუალების გამოყენება, რომელიც მოითხოვება მშენებლობის პროცესში **უსაფრთხოების** წესებითა და ნორმებით.

ზემოაღწერილთან ერთად დაცულ იქნას შემდეგი მითითებები:

<u>უსაფრთხოების ტექნიკა:</u>

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ბეტონის ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

<u>გარემოს დაცვა:</u>

მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტით განსაზღვრული მშენებლობის მოქმედების არეალი — „სამშენებლო მოედანი“, აუცილებლად შემოღობილ უნდა იქნას დროებითი ღობით.

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის საშუალებით. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას, ფასადებს უნდა ჩამოეფაროს სპეციალური მტვერდამჭერი ფარდა, რათა თავიდან იქნას აცილებული მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობის სახურავიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. ნაგვის ჩამოცვლა განხორციელდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის

არქიტექტურული პროექტი

სტადია II-III (პირველი შეთანხმება)

გრიგ შესაბამისი განვითარება, კერძო დაკვეთის ფარგლებში



შემსრულებელი

FREE STUDIO
PLANNING | DESIGN | MORE

მპს თავისუფალი სახელოსნო
405665061
დირექტორი: ვ. ჯოხაძე
freestudio.co@gmail.com

ინიციატორი / დამკვეთი

შალომ პორელი
0-1422592-4 (ისრაელი)

#Client E-mail
თბილისი-ჯოკონის გზატკეცილი N92, ს. ტაბახმელა, თბილისი, 0114 საქართველო

შენიშვნები:

ნაწილი
მშენებლობის ორგანიზების პროექტი

პლანშეტი
განმარტებითი ბარათი

დოკუმენტი
ტექსტური განმარტებები

უხელმძღვანელა:
ვახტანგ ჯოხაძე

დაამუშავა:
მარიამ აბამიძე

შეამოწმა:
ვახტანგ ჯოხაძე

თბილისი, 2026
მიმდინარე ვერსია მომზადდა:
3.11.2026

პლანშეტი
#8.01.3
გვერდი #34

A2

გამოყენებული კანონმდებლობა:

– „**საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი**“;
– „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით;
– „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით;
– „საქართველოს შრომის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი (4113-რს, 2010წ);
– „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი (4283-IIს, 2019წ);
– „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა" და „სამუშაო დროის ჩარმოების წესი", დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წ №01-15/ნ ბრძანებით;
– „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ პირობების შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წ დადგენილება N361;
– „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესი", დამტკიცებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წ №01-15/ნ ბრძანებით;
– „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წ N341 დადგენილებით;
– „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წ N590 დადგენილებით;
– „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნები", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წ N457 დადგენილებით;
– „ტექნიკური რეგლამენტი ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წ N429 დადგენილებით;
– „ტექნიკური რეგლამენტი – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წ N477 დადგენილებით;
– „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წ N17 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები; -
– „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წ N370 დადგენილებით;
– საქართველოს მთავრობის 14.01.2014 წ დადგენილება N52 „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ";
– საქართველოს მთავრობის 15.01.2014 წ დადგენილება N71 „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ";
– „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" სნდწ 3.01.01-85*, სსრკ სახმშენი, მოსკოვი, 1985 წ;
– „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" სნდწ III-4-80*;
– „საწარმოების, შენობების და ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები" სნდწ 1.04.03-85*;
– „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტების შედგენის გაანგარიშების სტანდარტები" დამხმარე სახელმძღვანელო, სსრკ სახმშენი, 1973.
– სოსტ 12.1.013-78 „მშენებლობა. ელექტრო უსაფრთხოება. ძირითადი მოთხოვნები", შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა, მშენებლობის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის

არქიტექტურული პროექტი

სტადია II-III (პირველი შეთანხმება)

გრგ შესაბამისი განვითარება, კერძო დაკვეთის ფარგლებში



ნიკოლოზ მათიკაშვილის ქ. N33, ს. ნაკვეთი, თბილისი, საქართველო

შემსრულებელი

FREE STUDIO
PLANNING | DESIGN | MORE

მპს თავისუფალი სახელოსნო
405665061
დირექტორი: ვ. ჯოხაძე
freestudio.co@gmail.com

ინიციატორი / დამკვეთი

შალომ პორელი
0-1422592-4 (ისრაელი)

#Client E-mail
თბილისი-ჯოჯორის გზატკეცილი N92, ს. ტაბახმელა, თბილისი, 0114 საქართველო

შენიშვნები:

ნაწილი
მშენებლობის ორგანიზების პროექტი

პლანშეტი
განმარტებითი ბარათი

დოკუმენტი
ტექსტური განმარტებები

უხელმძღვანელა:
ვახტანგ ჯოხაძე

დაამუშავა:
მარიამ აბამიძე

შეამოწმა:
ვახტანგ ჯოხაძე

თბილისი, 2026
მიმდინარე ვერსია მომზადდა: 3.11.2026

პლანშეტი
#8.01.4
გვერდი #35

A2



ექსპლიკაცია

1. სამშენებლო ობიექტი;
2. ღია საწყობი (დროებითი პოლიგონი);
3. საქმის წარმოებლის ოთახი;
4. კვების ოთახი;
5. ბიოტუალეტი;
6. ბეტონის მიწოდების ადგილი;
7. ბეტონის მიწოდების ალტერნატიული ადგილი

პირობითი აღნიშვნები

- საზოგადოებრივ სივრცე
- სამშენებლო მოედნის ღობე *(უმთხვევა მშენებარე ღობეს)*
- სამშენებლო ობიექტი
- ღია საწყობი (დროებითი)
- დამხმარე შენობა (დროებითი)
- სატვირთო მანქანა
- ბეტონ-მზიდი მიქსერი
- ბეტონის ტუმბო

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის

არქიტექტურული პროექტი

სტადია II-III (პირველი შეთანხმება)

გრგ შესაბამისი განვითარება, კერძო დაკვეთის ფარგლებში



შემსრულებელი

FREE STUDIO
PLANNING | DESIGN | MORE

შპს თავისუფალი სახელოსნო
405665061
დირექტორი: ა. კოხაძე
freestudio.ge@gmail.com

ინიციატორი / დამკვეთი

შალომ პორელი

0-1422592-4 (ისრაელი)

#Client E-mail
თბილისი-ყოფილ გზატკეცილი N92, ს. ტაბახმელა, თბილისი, 0114 საქართველო

შენიშვნები:

1. ზომები მოცემულია სმ-ში, ნიშნულები — მ-ში.
2. ღობე შეთანხმებულია AR11130932.

ნაწილი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

პლანშეტი

სამშენებლო მოედნის გეგმა

ნახაზი

საკადასტრო რუკა, ტოპოგრაფიული გეგმა, სამშენებო მოედნის გეგმა

მასშტაბი 1:200

თანაფარდობა სწორია A2 ფორმატის პლანშეტისთვის. სხვა ფორმატზე დაბეჭდვისას გამოიყენეთ ნახაზზე მოცემული ხაზოსანი

უხელმძღვანელა:
ვახტანგ ჯოხაძე

დაამუშავა:
მარიამ აბამიძე

შეამოწმა:
ვახტანგ ჯოხაძე

თბილისი, 2026

მიმდინარე ვერსია მომზადდა:
3.11.2026

პლანშეტი
#მ.01.5
გვერდი #36

A2

მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი მუნიციპალიტეტი, სოფელი წავკისი, მიწის ნაკვეთი 01.81.02.363.096

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
რიგი	ეტაპი	**სამუშაოების დასახელება**	მშენებ. ხანგრძ. თვეებში	თვეების რაოდენობა მშენებლობის პერიოდების მიხედვით მშენებლობის პირველი წელი განტის დიაგრამა											
I		**მოსამზადებელი სამუშაოები**		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
	1	სამშენებლო მოედნის მომზადება, ნიშნების მოწყობა, დამცავი ღონისძიებები	1												
	2	სამშენებლო მოედანზე დროებითი შენობება-ნაგებობების განთავსება (ღობე, ოფისი და სხვა)	1												
	3	სამშენებლო მოედანზე სამშენებლო მასალების მოედნის მოწყობა	1												
	4	გეგმარებითი ობიექტის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფქსირება	1												
II		**ძირითადი სამუშაოები**		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
	1	ფუძის მოწყობა, მიწის სამუშაოები	2												
	2	საძირკვლის მოწყობა და მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მოწყობა ±0.00 ნიშნულამდე	2												
	3	ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მოწყობა ±0.00 ნიშნულს ზემოთ	2												
	4	სახურავის და არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	2												
	5	გარე მოპირკეთება და კეთილმოწყობა	2												

შემიშვნა:

1. მშენებლობის განხორციელების წინამდებარე კალენდარული გეგმა მშენებლობის რიგითობასა და ეტაპებს, მათი ხანგრძლივობით, ასახავს მხოლოდ მშენებლობის განმახორციელებელი პირისთვის სამშენებლო სამუშაოთა წარმოებაში მეთოდური დახმარების გასაწევად.

2. კოდექსით განსაზღვრული პირის მიერ მშენებლობის დასრულების შესახებ ოქმი, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევისა, დგება სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

3. შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია 12 თვის ჰერიოდში.

4. კალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი

5. თუ II კლასის მშენებლობის პროცესში მშენებლობის ნებართვის მფლობელი არ ნიშნავს მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველს, ის თვითონ არის პასუხისმგებელი მშენებლობის პროცესში სამშენებლო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის

არქიტექტურული პროექტი

სტადია II-III (პირველი შეთანხმება)

გრგ შესაბამისი განვითარება, კერძო დაკვეთის ფარგლებში



შემსრულებელი

FREE STUDIO
PLANNING | DESIGN | MORE

მპს თავისუფალი სახელოსნო
405665061
დირექტორი: ვ. ჯოხაძე
freestudio.ge@gmail.com

ინიციატორი / დამკვეთი

შალომ პორელი

0-1422592-4 (ისრაელი)

#Client E-mail
თბილისი,ყოჯრის გზატკეცილი N92, ს. ტაბახმელა, თბილისი, 0114 საქართველო

შენიშვნები:

ნაწილი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

პლანშეტი

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

დოკუმენტი

განტის დიაგრამა

უხელმძღვანელა:
ვახტანგ ჯოხაძე

დაამუშავა:
მარიამ აბამიძე

შეამოწმა:
ვახტანგ ჯოხაძე

თბილისი, 2026

მიმდინარე ვერსია მომზადდა: 3.11.2026

პლანშეტი **#მ.01.6**

გვერდი #37

A2